



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1718
27/09/2018

ქალაქი ბათუმი

1718-05-4-201809271747



ნუნუ მამულაიშვილზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსზე მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 10 სამუშაო დღის მიცემისა და ელზა გოგიტიძეზე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტზე განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის დაკისრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტების, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-9 პუნქტისა და ნუნუ მამულაიშვილის 2018 წლის 27 სექტემბრის №2790-05 განცხადების შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. ნუნუ მამულაიშვილს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსს, მიეცეს მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 10 სამუშაო დღე, 2018 წლის 01 ოქტომბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით.

2. ელზა გოგიტიძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს, დაეკისროს განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შესრულება, ამავე თანამდებობაზე მომუშავე ნუნუ მამულაიშვილის ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდით, 2018 წლის 01 ოქტომბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს საშვებულებო თანხის (ავანსის სახით) ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა